

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზები და სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რიგი საკითხების დაურეგულირებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია იუსტიციის უმაღლესი სკოლის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს სასამართლო ხელისუფლების სფეროში საქართველოს პრეზიდენტისათვის უფლებამოსილებების შეზღუდვის პროცესის გაგრძელებას. „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პრეზიდენტის კომპეტენციას შეადგენს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობისა და სკოლის წესდების დამტკიცების უფლებამოსილებები. კანონპროექტის მიხედვით იცვლება დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესი. დამოუკიდებელ საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ასევე ამტკიცებს საბჭოს შემადგენლობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით. ამასთან, სკოლის წესდებას ამტკიცებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო სკოლის დირექტორის წარდგინებით.

კანონპროექტით ზუსტდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დანიშნულება და მის ფუნქციებში შედის მოსამართლეთა თანაშემწეობის კანდიდატთა და სხვა სპეციალისტების მომზადება-გადამზადება. ამასთან, განისაზღვრება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და სკოლის დირექტორის, მისი მოადგილისა და სტაჟირების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი.

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლაში იუსტიციის მსმენლად მიღება ხდება ყოველი წლის ოქტომბერში. იმისათვის, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ვაკანტური თანამდებობების შევსების პროცესში არ შეიქმნას გარკვეული შეფერხებები, კანონპროექტი ადგენს, რომ სკოლაში მისაღები კონკურსი წლის განმავლობაში შეიძლება ჩატარდეს არა მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად, ცვლილება შედის კანონის მე-14 მუხლში და დგინდება, რომ სკოლაში მისაღები იუსტიციის მსმენელთა საერთო რაოდენობა უნდა დამტკიცდეს ყოველი კონკურსის გამოცხადებამდე.

კანონპროექტი ითვალისწინებს იუსტიციის მსმენლის სტიპენდიის სტატუსის განსაზღვრას. კერძოდ, დგინდება, რომ აღნიშნული სტიპენდია წარმოადგენს სახელმწიფო სტიპენდიას. შესაბამისად, მასზე გაერცვლდება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო სტიპენდიის დაბეგვრის შესაბამისი რეჟიმი. გარდა ამისა, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ადგენს, რომ იუსტიციის მსმენლის სტიპენდიის ოდენობა არ უნდა იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ხელფასის 1/4-ზე ნაკლები, თუმცა არ არის დაზუსტებული, ვინ განსაზღვრავს სტიპენდიის ოდენობას. კანონპროექტის შესაბამისად, სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობას განსაზღვრავს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო სკოლის დირექტორის წარდგინებით.

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სკოლის სტრუქტურა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის წესდებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებით. კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვროს სკოლის წესდებით. ამასთან, სკოლის დამოუკიდებელი

საბჭო უფლებამოსილებებიდან გამოდის მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის განსაზღვრა და მათი სკოლაში მიღება მოხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კანონპროექტით იცვლება იუსტიციის მსმენლის მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელების წესი. კანონით განსაზღვრული სადისციპლინო კომისიის ნაცვლად დისციპლინურ დევნას განხორციელებს სკოლის დირექცია. ამასთან, პროექტით განისაზღვრება დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნის წესი. გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსის ფორმა, კანდიდატთა რეგისტრაცია, კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ შეუშლის ხელს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

